

## ტექნიკური პირობები

სერვისის მომწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს კომპანიას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინფორმაცია გასაქირავებელი ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის, გამოშვების თარიღისა და გარბენის თაობაზე;

ბ) ინფორმაცია ყოველთვიური საიჯარო გადასახადის თაობაზე (აშშ დოლარში);

გ) სერვისის მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმდინარე სერვისების წარმოებაყოველ 10 000 ათას კილომეტრზე, არაუმეტეს წელიწადში სამჯერ. სერვისი კერძოდ ითვალისწინებს: ზეთისა და ფილტრების შეცვლა ძრავსა და სხვა აგრეგატებში, ყველა ტიპის ჰაერის ფილტრის შეცვლა, კონდიციონერების სისტემის გაწმენდა და სისტემაში ფრეონის ჩატუმბვა, ავტოსატრანსპორტო საშუალების სეზონური საბურავებით აღჭურვა წელიწადში ორჯერ (ზამთარი, ზაფხული), აგრეთვე სხვა მიმდინარე სერვისები ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე (მათ შორის ტექ. დათვალიერება);

დ) სერვისის მომწოდებელი უზრუნველყოფს დაზღვევას (მათ შორის მესამე პირებთან მიმართებაში), რომლის ლიმიტიც შეადგენს არანაკლებ 30 000 ათასს ევროს მესამე პირის შემთხვევაში, ხოლო მგზავრების ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში 10 000 ევროს (ყოველ მგზავრზე). დაზღვევა, ანალოგიური პირობებით, უნდა ვრცელდებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე კომპანიის სამ წარმომადგენელზე.

ე) იმ შემთხვევაში, თუკი ავტომობილი დაზიანების შედეგად გამოუსადეგარი იქნება ექსპლუატაციისათვის (ხანგრძლივი ან გარკვეული დროით), სერვისის მომწოდებელმა კომპანიას 48 საათის განმავლობაში უნდა მიაწოდოს იმავე კლასის ავტომობილი კომპანიის ცენტრალური ოფისის მისამართზე.

ვ) ავტომობილთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადი, მოვალეობა და სხვა ვალდებულებები ეკუთვნის სერვისის მომწოდებელს. ნებისმიერი ჯარიმა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში შესაბამისი გადასახდელების დაგვიანებისათვის - ეკუთვნის სერვისის მომწოდებელს.

ზ) სერვისის მომწოდებელი ავტომობილს უზრუნველყოფს საბურავებით ყველა სეზონისათვის (ზაფხული-ზამთარი) ავტომობილის უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების გათვალისწინებითა და ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

თ) სეზონური საბურავების შენახვისა და მონტაჟის ხარჯები, ასევე წარმოადგენს კონტრაქტორის ვალდებულებას. საბურავები დაცული უნდა იყოს იმგვარად, რომ არ დაზიანდეს შენახვის დროს (ატმოსფერული ტემპერატურა, საბურავის მდებარეობა და.შ.).

ი) ყველა გამოცვლილი დეტალის უტილიზაციასა თუ შენახვაზე, კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, პასუხისმგებელია კონტრაქტორი.

კ) კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუკავშირდეს კონტრაქტორს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს 24 საათის განმავლობაში ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში.

ლ) ავტომობილის ფერი - შავი მეტალიკი; სალონის სასურველი ფერი - შავი ან „ბეჟი“;

**ავტომობილის მახასიათებლები მოცემულია დანართში- ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.**

